



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება



განკარგულება:გ-13. 13223578

თარიღი:23/12/2022

ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნარჩენების მართვის კოდექსი“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილების შესაბამისად,

1. დამტკიცდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმა“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60^ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ახალციხის მუნიციპალიტეტი



მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

2023-2027

შინაარსი

1.	შესავალი	3
1.1	მიზნები	4
1.2	სამართლებრივი ჩარჩო	4
2.	მუნიციპალიტეტის აღწერა	5
2.1	ადგილმდებარეობა	5
2.2	დემოგრაფია	6
2.3	ტოპოგრაფია და სხვა მახასიათებლები	8
2.4	კლიმატური პირობები	9
2.5	ეკონომიკური საქმიანობები	9
3.	არსებული სიტუაციის ანალიზი	11
3.1	ნარჩენების რაოდენობა	12
3.2	წარმოქმნილი ნარჩენები	12
3.3	შეგროვებული ნარჩენები	13
3.4	ნარჩენების შედგენილობა	13
3.5	არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა	16
3.5.1	შეგროვება და ტრანსპორტირება	16
3.5.2	ნარჩენების შემგროვებელი ავტომატები	17
3.5.3	ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები	18
3.5.4	ქუჩების დასუფთავება	20
3.5.5	ნარჩენების რეციკლირება	25
3.5.6	ნარჩენების დამუშავება	25
3.6	ნარჩენების განთავსება	25
3.6.1	არასახიფათო ნარჩენების არსებული ნაგავსაყრელი	25
3.6.2	სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენები	25
3.6.3	საკადრო და ორგანიზაციული სტრუქტურა	26
3.7	ხარჯები და ხარჯების ამოღება	27
3.7.1	ხარჯები	27
3.7.2	შემოსავლები	28
3.7.2.1	მყარი ნარჩენების მართვის ტარიფი	28
3.7.3	ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები	28
3.7.4	შემოსავლის წყაროები	28
3.8	დაგეგმილი ღონისძიებები	29
4.	ნარჩენების მართვის არსებული ხარვეზები	29
4.1	სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო	30
4.2	ფინანსური ჩარჩო	30
4.3	ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება	31
4.4	ნარჩენების დამუშავება	31
4.5	ნარჩენების განთავსება	32
5.	პროგნოზი	33
6.	ნარჩენების მართვის მიზნები	34
6.1	შეგროვების და რეციკლირების მიზანი	34
6.2	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მიზნები	35

7.	სამოქმედო გეგმა -----	36
7.1	ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა -----	37
8.	მონიტორინგის გეგმა -----	39


აბრევიატურები

WMC	ნარჩენების მართვის კოდექსი
MENRP	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NWMS	ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია
MWMP	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა
NWMAP	ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა
MSW	მუნიციპალური მყარი ნარჩენები
WEEE	ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები
ELV	ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები
C&D	მშენებლობა და დემონტაჟი

1. შესავალი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 13(1)-ით განსაზღვრული საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად.

ნმკ თანახმად, თითოეული მუნიციპალიტეტი იღებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმას. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებთან ერთად.



ნახ. 1: მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვა

ამასთან, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიას 2016-2030 და ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 12(7)-ში განსაზღვრული ნარჩენების ცალკეული სახეობების მართვის გეგმებს.

მოცემულ კონტექსტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის წინამდებარე გეგმა მომზადებულია მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულების მიზნით.

1.1 მიზნები

გეგმის მიზანია:

- ნარჩენებისა და მათი უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია/მინიმიზაცია;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტში;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ეფექტიანი ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირების და სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებში.

1.2 სამართლებრივი ჩარჩო

კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, რომლებიც უშუალოდ ეხება საქართველოში ნარჩენების მართვის საკითხს:

- ნარჩენების მართვის კოდექსი;
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030წწ.);
- ტექნიკური რეგლამენტი „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“;
- ტექნიკური რეგლამენტი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“;
- ტექნიკური რეგლამენტი “სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“;

მუნიციპალური ნარჩენების დაგეგმვის პროცესზე ასევე გავლენას ახდენს შემდეგი კანონები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“
- საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“

2. მუნიციპალიტეტის აღწერა

2.1 ადგილმდებარეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში და შედის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მხარეში. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ახალციხე. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთიდან ბორჯომისა და ასპინძის, სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, ხოლო დასავლეთიდან ესაზღვრება ადიგენის მუნიციპალიტეტი. ახალციხის მუნიციპალიტეტში თავს იყრის რეგიონის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან - სომხეთიდან და თურქეთიდან მომავალი გზები, ხოლო მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უკავშირდება გოდერძის უღელტეხილით. ამდენად, ახალციხის სტრატეგიული მნიშვნელობა დიდია. მუნიციპალიტეტის დაშორება თბილისამდე – 207კმ, ბათუმამდე – 168კმ, სომხეთის საზღვრამდე (ს.გ.პ. "ნინოწმინდა") – 89კმ და თურქეთის საზღვრამდე (ს.გ.პ. "ვალე") – 12კმ.



ნახ. 2: ახალციხის მუნიციპალიტეტის მდებარეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 101 030 ჰა-ს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაახლოებით 37% ტყითაა დაფარული, ხოლო 47% სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს. 2022 წლის მდგომარეობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 39 101 ადამიანს. ტერიტორიულ ერთეულში 45 დასახლებაა. ქ. ახალციხე არის როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე მხარის ადმინისტრაციული ცენტრი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია:

ქალაქი ახალციხე და ქალაქი ვალე

თოთხმეტი თემი: აწყური, აგარა, ფერსა, კლდე, წყრუთი, ელიაწმინდა, სვირი, სხვილისი, წყალთბილა, პამაჯი, საძელი, მინაძე, ურაველი, ანდრიაწმინდა.



ნახ.3 ახალციხის მუნიციპალიტეტის მდებარეობა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლებს უზრუნველყოფს: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი საწარმოები, მცირე მეწარმეობა (პურის საცხობი, სამშენებლო კომპანიები და ა.შ.) და ხელფასები (სხვადასხვა სექტორში დასაქმებული მოსახლეობა).

2.2 დემოგრაფია


სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“-ს მონაცემების მიხედვით 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სულ 39101 ადამიანს, სიადანაც საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს - 22 101 ადამიანი, სასოფლო დასახლებაში 17 000 ადამიანი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აღწერის შედეგებით ისევე როგორც ქვეყანაში და რეგიონში ხასიათდება კლებადი დინამიკით. (მაგ. 2018 წელს - 39400 ადამიანი, 2021 წ. - 39 300 ადამიანი).

ცხრილი 1. მოსახლეობის სიმჭიდროვე

N	დემოგრაფიული ინფო	მოსახლეობის განაწილება	ოჯახების განაწილება ინდივიდუალურ და მრავალბინიან სახლებში
1	მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 1010კმ ²		ქალაქის მრავალბინიან სახლებში მაცხოვრებელი მოსახლეობა 5968 კაცი
2	მოსახლეობის რაოდენობა სულ 39 101კაცი	საქალაქო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა 22101 კაცი სასოფლო დასახლებაში-17000	ინდივიდუალურ სახლებში მაცხოვრებელი მოსახლეობა 33133 კაცი
3	მოსახლეობის სიმჭიდროვე 39 კაცი კმ ²		პროცენტული განაწილება 85% ცხოვრობს ინდივიდუალურ საცხოვრებელში და 15% ცხოვრობს მრავალბინიან საცხოვრებელში

მოსახლეობის დაახლოებით 56 % ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებაში, ხოლო 44 % სასოფლო დასახლებაში.

მოსახლეობის განაწილება



ნახ. 4: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წილი

2.3 ტოპოგრაფია და სხვა მახასიათებლები

შიდა წყლები

მუნიციპალიტეტის ტერიტორია 101 030 ჰა-ია. ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდინარეთა ქსელი წარმოდგენილია მდ. მტკვრითა და მისი შენაკადებით: ფოცხოვი და მისი შენაკადები ქვაბლიანი და ურაველი. პატარა მდინარეებია; წინუბნისწყალი და ჭვინთაღელე. მდინარეები გაზაფხულზე წყალუბვია, შემოდგომიდან მათი დონე კლებულობს და ზამთარში მინიმუმამდე დადის. თავსხმა წვიმების დროს ხასიათდება პერიოდული ნაკადულების ღვარცოფული მოვარდნით. მდინარეებს იყენებენ სარწყავად. აღსანიშნავია წყალთბილას გოგირდოვანი თერმული წყალი, აგრეთვე ურაველისა და გურკელის მინერალური სამკურნალო წყლები.

მცენარეული საფარი

მუნიციპალიტეტში სამი ძირითადი ზონაა; გარდამავალი ტყესტეპისა, მთის ტყისა და მდელოსი. დაბალ ნაწილში განვითარებულია მდელოს ყავისფერი და ალუვიური მდელოს კარბონატული ნიადაგები, მესხეთისა და ერუშეთის ქედების ტყიან კალთებზე – ტყის ყომრალი ნიადაგი, რომელსაც უფრო მაღლა მთის მდელოს კორდიანი ნიადაგი ცვლის. ჭალის ზედა ტერასებზე ალუვიური ნიადაგია. ცენტრალურ ნაწილში გაბატონებულია კლდის ქსეროფიტული ბუჩქები და ნახევარბუჩქნარები (ღვია, გლერმა, ზღარბა, შავგაჯა) აგრეთვე ქსეროფიტული მრავალწლიანი ბალახეულობა, დიდი ფართობი უჭირავს ველის წივანიან და ვაციწვერიან დაჯგუფებებს. სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში მთის ტაის ქვედა ზონა მურან-რცხილნარს უჭირავს. მესხეთის ქედის ტაის ზედა ზონაში გავრცელებულია ნაძვნარ-სოჭნარი, ხოლო ერუშეთის ქედის ამავე ზონაში მთის ფიჭვნარი. ქედების თხემურ ზოლში სუბალპური და ალპური მდელოებია, რომლებიც ერუშეთის ქედზე ველის ელემენტებსაც შეიცავს.

ცხოველთა სამყარო

მუნიციპალიტეტში აქა იქ გვხვდება ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, წავი, ჭრელტყავა, ფოცხვერი, გარეული კატა, დათვი, გველი, მელა, მაჩვი, კვერნა, დედოფალა, კურდღელი, ტელეუტური ციცივი (აკლიმატიზებულია), წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი, ბევრია გარეული მტრედი, ქედანი, გვრიტი, ყვავი, კაჭკაჭი, შოშია, მწყერი. მაღალ მთებში ბინადრობს კავკასიური როჭო, იშვიათია კაკაბი. ზოგან გვხვდება ჯოჯო, მრავალგანაა ხვლიკი, გველხოკერა, ანკარა, გომბეშო, ვასაკა, ტბის ბაყაყი, მდინარეებში არის კალმახი, წვერა, მურწა, ტობი, ხრამული და სხვა.

ნიადაგი

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ნაყოფიერი და ნოყიერი ნიადაგებით. მორწყვის პირობებში უხვ მოსავალს იძლევა. ტერიტორიის დიდი ნაწილი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის. რაიონის დაბალ ნაწილში, განვითარებულია მდელოს ყავისფერი და ალუვიური მდელოს კარბონატული ნიადაგები, მესხეთისა და ერუშეთის ქედების ტყიან კალთებზე – ტყის ყომრალი ნიადაგი, რომელსაც უფრო მაღლა მთის მდელოს კორდიანი ნიადაგი ცვლის. ჭალის ზედა ტერასებზე ალუვიური ნიადაგია.

სასარგებლო წიაღისეული

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა საბადოებით. სოფელ მუსხის მიდამოებში არის დიატომიტის საბადო, სოფელ ბოგასა და გიორგიწმინდაში – ახალციხის აქატის საბადოები, ხოლო ვალესა და ნაოხრების მიმდებარე ტერიტორიაზე არის ახალციხის მურა ნახშირის საბადო.

2.4 კლიმატური პირობები


ახალციხის მუნიციპალიტეტის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზამთარი - ცივი, მცირეთოვლიანი, ზაფხული - ხანგრძლივი და თბილი. ახალციხის ქვაბულის ძირზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,8 °C, აგვისტოსი 20,5 °C. უფრო მაღალ ზონაში, მესხეთის ქედზე, ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი ჰავაა. ერუშეთის ქედის თხემურ ზოლში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზაფხული - მოკლე, ზამთარი - ცივი, ნალექები დაბალ ზონაში 520 მმ არ აღემატება წელიწადში, მოსაზღვრე ქედების კალთებზე კი 1200 მმ არ აღწევს. ნალექების მაქსიმუმი მოდის მაისსა (64 მმ) და ივნისში (86 მმ) მინიმუმი ზამთრის თვეებში (იანვრი 20 მმ, თებერვალი 25 მმ). მზის ნათების ხანგრძლივობა, ზომიერი ტენიანობა, მთის და ბარის შეზავებული სუფთა ჰაერი, აქაურ ჰავას საკურორტო თვისებებს ანიჭებს.

2.5 ეკონომიკური საქმიანობები

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ტერიტორიის დიდი ნაწილი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.


მიწათმოქმედების სახეობებია: კარტოფილის, სიმინდის, მარცვლეულის, კომბოსტოს და ლობიოს კულტურები.

ახალციხის მუნიციპალიტეტში, მიწის ფონდიდან, სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 51728 ჰა-ს. აქედან კერძო საკუთრებაშია 16728 ჰა, სახელმწიფო საკუთრებაში 35000 ჰა. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 6134 ჰა-ს. აქედან კერძო საკუთრებაშია 280 ჰა, სახელმწიფო საკუთრებაში 5854 ჰა.



მემცენარეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტში ძირითადად მოჰყავთ კარტოფილი, საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, სხვადასხვა ბოსტნეული (კომბოსტო , სტაფილო , ხახვი და ა.შ). ასევე არის ხილი.



მეცხოველეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია მეცხოველეობის შემდეგი დარგები: მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მელორეობა. მუნიციპალიტეტში სულ 10136 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 2450-ზე მეტი ცხვარია.

მრეწველობა

ახალციხის მუნიციპალიტეტში დღეისათვის, ძირითადად განვითარებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე წარმოება, მათ შორის რძისა და ხორცის გადამამუშავებელი ქარხნები, ასევე პურ-ფუნთუშეულის საცხობები.

მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოო ობიექტები :

- სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი 5 საწარმო;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 12 საწარმო;
- 22 სამშენებლო კომპანია;
- ჰურის 20-ზე მეტი საცხოვრი;
- ხორცის გადამამუშავებელი 2 საწარმო;
- რძის პროდუქტების 2 საწარმო.

გარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა, განვითარებულია სამშენებლო ქვის მოპოვება, ღორღისა და ქვიშის მოპოვება, დეკორატიული და სამშენებლო ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია დაახლოებით 2500 სამეწარმეო სუბიექტი. ისინი ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოთა კატეგორიას განეკუთვნება.

მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული ვაჭრობის სფერო, მრავლადაა ხვადასხვა სახის საცალო და საბითუმო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტები.

3. არსებული სიტუაციის ანალიზი

წარმოდგენილი გეგმა მიმოიხილავს მუნიციპალურ არასახიფათო ნარჩენებს, რომელიც წარმოადგენს საყოფაცხოვრებო წყაროებიდან წარმოქმნილ და ასევე სხვა ნარჩენებს, რომლებიც ბუნებითა და შედეგით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია, კერძოდ:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები საოჯახო მეურნეობებიდან. კერძო სახლებსა და მრავალსართულიან შენობებში მცხოვრები ოჯახებიდან;
- ასევე ოჯახებიდან და დაწესებულებებიდან მსხვილგაბარიტიანი ნარჩენები: ზედმეტად დიდი ნარჩენები საყოფაცხოვრებო კონტეინერებისთვის, მაგალითად, ავეჯი, ლეიბი;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსი კომერციული ნარჩენები საწარმოო დაწესებულებებიდან; სასწავლო დაწესებულებებიდან (უნივერსიტეტიდან, სკოლებიდან, სკოლამდელი დაწესებულებებიდან);
- მომსახურეობის სფეროდან (სავაჭრო და კვების ობიექტები);
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან;
- პარკები, იქ შეგროვებული მწვანე ნარჩენები: ბალახი, ტოტები, ფოთლები, განასხლავი;
- მოხვეტის ნარჩენები, ბაზრის ნარჩენები;
- ორგანული ნარჩენები და შესაფუთი მასალის ნარჩენები;
- სამშენებლო და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები;

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე წარმოიქმნება ინერტული სამშენებლო ნარჩენები.

3.1 ნარჩენების რაოდენობა

ახალციხის მუნიციპალიტეტში წლიურად წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის. შეგვიძლია ვივარაუდოთ შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. 2021 წელს ახალციხის ნაგავსაყრელზე ახალციხის მუნიციპალიტეტიდან გატანილი იქნა 17635.6 ტ საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რაც შეგროვებული იქნა მოსახლეობიდან და კომერციული სექტორიდან (მაღაზიები, კვების ობიექტები, სატუმროები და ა.შ.). ამდენად, რამდენია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები და ზუსტად რამდენი ნარჩენი შეგროვდა კერძო სექტორიდან ცნობილი არ არის.

2021 წელს სამშენებლო და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მცირე რაოდენობა, 287.1 ტ იქნა გატანილი ნაგავსაყრელზე.

წარმოქმნილ ნარჩენებში საკვების ნარჩენების შემცველობა ყველაზე მეტად ავლენს სეზონურობას, ისე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში. მისი შემცველობა მაღალია ივლის- აგვისტოში, ამ ნარჩენების შემცველობაზე ასევე მოქმედებს უქმე, სადღესასწაულო და მარხვის დღეების რაოდენობა თვეში. ცხელი დღეებისა და სადღესასწაულო დღეების რაოდენობა, ასევე მოქმედებს პლასტიკის ფრაქციის შემცველობაზე.

3.2 წარმოქმნილი ნარჩენები

ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის შემთხვევაში, ახალციხის მუნიციპალიტეტშიც წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები, არ მოიპოვება, რადგან არ მიმდინარეობს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვა. ნარჩენების მოცულობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

მუნიციპალიტეტს არა აქვს ზუსტი ინფორმაცია წლების განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, არსებობს მხოლოდ მონაცემები ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების რაოდენობის, მუნიციპალიტეტში შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალისა და სოფლად და ქალაქად მოსახლეობის განაწილების გათვალისწინებით, ქალაქებში ახალციხესა და ვალეში 22 101 მოსახლის მიერ სავარაუდოდ 2021 წელს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 14108 ტონას, სოფლად 17000 მოსახლის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა 3527,6 ტონას, სულ 17635,6 ტონას.

მუნიციპალიტეტში არ არის ინფორმაცია წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობის, რადგან არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების განცალკევებული შეგროვება. ასევე, უცნობია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა.

არ მოიპოვება მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარტიანი ნარჩენების - მათი გატანა არ ხდება დასუფთავების სერვისის მიერ და მოსახლეობა ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე ინახავს. ასევე უცნობია მონაცემები სამშენებლო ნარჩენების რაოდენობის შესახებ, რადგან ამ ტიპის ნარჩენებს მოსახლეობა ძირითადად სტიქიურ ნაგავსაყრელებზე განათავსებს/ყრის.

ამდენად, იკვეთება საჭიროება მუნიციპალიტეტში შეიქმნას მონაცემთა ბაზა, რომელშიც აღრიცხული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა სახეობების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვას.

3.3 შერეობილი ნარჩენები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ რთულია სამომავლო პროგნოზების გაკეთება, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება შერეობილი ნარჩენების მომსახურების დაფარვის არეალისა და მომსახურების ეფექტიანობის ზრდის ფაქტორების გათვალისწინებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შერეობისა და გატანის მომსახურება მიეწოდება მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და საწარმოების უმეტესს ნაწილს და მომსახურებით დაფარულია ახალციხის მუნიციპალიტეტის 95 %.

წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება დასუფთავების სამსახურების მიერ. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მონაცემების მიხედვით 2018 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვდა დაახლოებით 15337 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, 2019 წელს 14932 ტონა, ხოლო 2021 წელს 17635,6 ტონა. მუნიციპალიტეტში შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალისა სოფლად და ქალაქად, მოსახლეობის განაწილების გათვალისწინებით წარმოქმნილი 17635 ტონა ნარჩენების საერთო რაოდენობიდან 468 ტონა ნარჩენი არ გროვდება, საიდანაც 123ტ წარმოიქმნება ქალაქად, ხოლო 345 ტონა სოფლად. დაახლოებით 1950 მოსახლეს არ მიეწოდება დასუფთავების სერვისი. შეუგროვებელი ნარჩენები სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნის წყაროს წარმოადგენს, ამდენად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისის 100%-იანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.


3.4 ნარჩენების შედგენილობა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ახალციხის ნაგავსაყრელზე არ ჩატარებულა ნარჩენების შედგენილობის კვლევა. მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის დადგენის მიზნით გამოყენებული იქნა ანალოგიის მეთოდი. კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მსგავსი ეკონომიკური საქმიანობის მქონე გარდაბნის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების ფრაქციული შედგენილობა კვლევის შედეგები.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი ნარჩენების შედგენილობის ანალიზის შედეგებით.

ნარჩენების შედგენილობა	წილი მთლიან რაოდენობაში %	რაოდენობა ტ/წ
ბიოლოგიური ნარჩენი	54.00%	9527
ქაღალდი	15.00%	2645
პლასტმასი	15.00%	2645
შავი ლითონები	2.00%	352
ფერადი ლითონები	2.00%	352
მინა	4.00%	705
ხე	1.00%	176
ქსოვილი და ტყავი	1.00%	176
EEW ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები	3.00%	529
სამშენებლო და დემონტაჟის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები C&D		
სხვა	1%	176
სულ	100%	17635
რამდენია შესაფუთი მასალა ამ ფრაქციებში?	წილი წლიურ რაოდენობაში %	რაოდენობა ტონა/წელი
ქაღალდი	50.00%	2645
პლასტიკი	50.00%	2645
შავი ლითონები	50.00%	352
ფერადი ლითონები	50.00%	352
მინა	50.00%	705
სულ		6699
ბიოდეგრადირებადი ნარჩენები შედგება შემდეგი ფრაქციებისგან	წილი მთლიან რაოდენობაში %	რაოდენობა ტონა/წელი
ბიოლოგიური ნარჩენი	45.00%	9527
ქაღალდი	15.00%	2645
სულ	<u>60.00%</u>	<u>12172</u>

ნარჩენების შემადგენლობა



ნახ. 5: ნარჩენების შემადგენლობა

ნარჩენების შემადგენლობასა და რაოდენობაზე დაყრდნობით შესაძლებელია რეციკლირების პოტენციალის შეფასება. კერძოდ, ქაღალდის, პლასტმასის, ლითონისა და მინის მიხედვით: წარმოქმნილი 17635 ტ ნარჩენიდან 5852ტ ექვემდებარება რეციკლირებას: 2926ტ ქაღალდი, 2310 ტ პლასტიკი და 616 ტ მინა.

ნარჩენების დაახლოებით 60%-ს შეადგენს ბიოდეგრადირებადი ფრაქცია. ბიოლოგიური ნარჩენები შეადგენს 45%-ს: ბაღებისა და პარკების ნარჩენები, საკვების და საოჯახო სამზარეულოს ნარჩენები, რესტორნების ნარჩენები, კვების და სურსათის საცალო ვაჭრობის ობიექტების ნარჩენები და საკვები პროდუქტების საწარმოების მსგავსი ტიპის ბიოდეგრადირებადი ნარჩენები და ქაღალდი (15%). რაც ცხადია, აღნიშნული ნარჩენების კომპოსტირებისა და/ან ენერჯის წყაროდ-ბიო-გამომშრობით ენერჯის აღდგენის პოტენციალი-გამოყენების შესაძლებლობას ქმნის.

3.5 არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

3.5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება

ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე - 2017 წლის ნოემბრამდე ახორციელებდა 2000 წელს შექმნილი შპს „ვალეს კომუნალური გაერთიანება“; ხოლო ქალაქ ახალციხეში - 2010 წლიდან შექმნილი შპს „კეთილმოწყობა“. 2017 წლის 15 ივნისის პარლამენტის #97 დადგენილებით, ქალაქ ახალციხის და ახალციხის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად - ახალციხის მუნიციპალიტეტად. რის შემდეგაც, 2017 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი შპს „კეთილმოწყობა“, რომელს 100% წილის მფლობელი იყო ახალციხის მუნიციპალიტეტი. 2021 წლიდან ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“.

ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“ - ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების მოვლა - პატრონობა, გარე განათების უზრუნველყოფა;
- მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა;
- ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე; ნარჩენების შეგროვება კომერციული და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან; ქუჩების დასუფთავება; ბალის ნარჩენების გატანა; მკვდარი ცხოველების გატანა;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბეტონის სანიაღვრე არხების გაწმენდა-დასუფთავება.
- ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“ ასევე ახორციელებს სამშენებლო ნარჩენების გატანას.

ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ხორციელდება კონტეინერული სისტემით. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მომსახურებით დაფარულია ახალციხის მუნიციპალიტეტის 95 %. მხოლოდ რამოდენიმე ქუჩაა დარჩენილი კონტეინერების გარეშე. ასევე ხდება ნარჩენების შეგროვება ზარის სისტემით - სადაც არაა განლაგებული ურნები, დადის ავტომანქანა განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად და იღებს ნარჩენებს მოსახლეობიდან. ჯერ კიდევ არის უბნები დასახლებული პუნქტებში, რომლებიც ვერ სარგებლობენ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზებული სისტემებით, თუმცა ეტაპობრივად მიმდინარეობს მუშაობა ყველა უბანში ურნების განსათავსებლად.

ზემოთ აღწერილი პროცედურით შესაძლებელია შეგროვების მომსახურებით უზრუნველყოფილი ადამიანების რაოდენობის დადგენა.

თითოეული დასახლების მომსახურებით დაფარვის ხარისხი შესაძლებელია შეფასდეს ნარჩენების შეგროვების მარშრუტების შესწავლისა და მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

3.5.2 ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებული ტექნიკური საშუალებები მოცემულია ქვემოთ მდებარე ცხრილებში.

ცხრილი 2: ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანები

	დანიშნულება/ მწარმოებელი	გამოშვების წელი	კონტეინერების ავტომატურად დაცვა (კი/არა)	ღია/დახურული	კომპაქტორი (კი/არა)	ნომინალური ტევადობა (მ ³ ამ ტონა)	მდგომარეობა* (ქულა 1-5)
სპეც ავტომანქანა	MERSED ES-BENZ	2016	კი	დახურული	კი	7 მ ³	3
სპეც ავტომანქანა	MERSED ES-BENZ	2016	კი	დახურული	კი	20 მ ³	2
სპეც ავტომანქანა	MERSED ES-BENZ	2016	კი	დახურული	კი	7 მ ³	3
სპეც ავტომანქანა	MERSED ES-BENZ	2016	კი	დახურული	კი	13 მ ³	3
სპეც ავტომანქანა	ISUZU	2014	კი	დახურული	კი	7 მ ³	3
თვითმძლელი	FORD	2002	არა	ღია	არა	3 მ ³	3
თვითმძლელი	FORD	1996	არა	ღია	არა	3 მ ³	4
თვითმძლელი	FORD	1997	არა	ღია	არა	3 მ ³	4
თვითმძლელი	GAZ-53	1989	არა	ღია	არა	4 მ ³	5

*1:ავტომანქანა კარგ მდგომარეობაშია და შესაძლებელია მისი გათვალისწინება დაგეგმვაში

5:ავტომანქანა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და რეგულარულ შეკეთებას საჭიროებს. ის სასწრაფოდ უნდა ჩანაცვლდეს ახალი ავტომანქანით.

3.5.3 ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები

კონტეინერული სისტემით მოცულია მთლიანი მუნიციპალიტეტი. ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“-ს შემუშავებული აქვს ნარჩენების გატანის განრიგი, რომელშიც მითითებულია ქუჩებისა და სოფლების დასახელებები და ნარჩენების გატანის დრო. ზარის სისტემით ხდება მომსახურების გაწევა (სადაც არაა ურნები განლაგებული და ვერ ხერხდება სპეციალიზირებული ავტომანქანით ნარჩენების გატანა), კერძოდ: ფარნავაზ მეფის ქუჩა, ნიკოლაძის ქუჩა, თბილისის ქუჩა და სხვა.

ცხრილი 3. კონტეინერების დაცლის გრაფიკი დასახლებული პუნქტებიდან.

ტერიტორიული ორგანო	დასახლებული პუნქტი	მომსახურების (გატანის) რაოდენობა ერთ თვეში
ქალაქი ახალციხე	ცენტრალური ქუჩებიდან ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე 350 (კონტეინერი) (თამარაშვილის ქ. კოსტავას ქ. პაატა ნათენაძის ქუჩა, კეცხოველის ქუჩა, დიდიმამიშვილის ქუჩა, რუსთაველის ქუჩა, 9 აპრილის ქუჩა, იაძის ქუჩა, მიქუტიშვილის ქუჩა, აბასთუმნის ქუჩა, ივერიელის ქუჩა, მარჯანიშვილის ქუჩა, სააკაძის ქუჩა, პეტრიწის ქუჩა, წმ. დავითისა და კოსტანტინეს ქუჩა I, წმ. დავითისადა კოსტანტინეს ქუჩა II, მებალიშვილის ქუჩა, გვარამაძის ქუჩა I, გვარამაძის ქუჩა II, თბილისის ქუჩა, 9 პარილის ქუჩის სკვერები, თამარაშვილის ქუჩის სკვერებიასპინძის ქუჩა, რაბათის ციხე, ხელოვნური ტბა, სკოლა #1, სკოლა #.2. სკოლა #4.სკოლა # 5. სკოლა #6, ივერიელის ქუჩა, მანველიშვილის ქუჩა, ორბელიანის ქუჩა, გამსახურდიას ქუჩა, მთაწმინდელის ქუჩა. უბანი საბარგო სადგური, უბანი ე.წ „ბომა მაილა“, ზარზმელის ქუჩა, პაატა ნათენაძის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი კორპუსები „ხუთსართულიანები“, გურამიშვილის ქუჩა, გოგებავილის ქუჩა, ხარისჭირაშვილის ქუჩა, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა)	დღეში ორჯერ
	იავანე ახალციხელისა და მისი მიმდებარე ტერიტორია	კვირაში
	- იავანე ახალციხელისა და მისი მიმდებარე ტერიტორია	კვირაში
	- უბანი ე/წ „მარდა“ და „აბი“	კვირაში
	- იაძის და ორბელიანის ქუჩის მიმდებარე ქუჩები	კვირაში
	- პირველი სკოლისა და დამხმარე სკოლა ინტერნატის	კვირაში
	- უბანი ე/წ „რაბათი“	კვირაში
	- უბანი ე/წ „ებრაელთა დასახლება“	კვირაში
ვალე	ვალე	24
	ვალე, II შახტის დასახლება	15
აწყური	აწყური	15
	თისელი	15
	ტყემლანა	15

ახალციხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა

აგარა	აგარა	15
	გურკელი	15
	ზიკილია	15
	წინუბანი	15
	საყუნეთი	15
ფერსა	ფერსა	15
	გიორგიწმინდა	15
	მუგარეთი	15
კლდე	კლდე	15
	წნისი	15
სვირი	სვირი	15
	ბოგა	15
	ტატანისი	15
ელიაწმინდა	ანი	15
	ელიაწმინდა	15
	ჭვინთა	15
წყრუთი	წირა	15
	პატარ წირა	15
	წყრუთი	15
	მიქელწმინდა	15
სხვილისი	ზემო სხვილისი	15
	ივლიტა	15
	ქვემო სხვილისი	15
წყალთბილა	აბათხევი	15
	ნაოხრები	15
	წინუბანი	15
	წყალთბილა	15
	ჯულა	15
პამაჯი	დიდი პამაჯი	15
	ორალი	15
	პატარა პამაჯი	15
	ყულალისი	15
სამელი	სამელი	15
	ხაკი	15
მინაძე	მინაძე	15
	ღრელი	15
	ჭაჭარაქი	15
ანდრიაწმინდა	ანდრიაწმინდა	15
	ანდა	15
	ახალშენი	15
ურაველი	ურაველი	15
	მუსხი	15
	წყორძა	15
	ხეოთი	15
ჯამი		744

ცენტრალური გზებიდან ნარჩენების გატანა:

№	დასახლებული პუნქტი	მომსახურების (გატანის) რაოდენობა ერთ თვეში
1	ახალციხე-თბილისის მიმართულება	24.00
2	ახალციხე-საბაჟოს (თურქეთის საზღვარი) მიმართულება	24.00
3	ახალციხე-საფარის მონასტერის მიმართულება	16.00
4	ახალციხე-ურაველის ხეობის მიმართულება	16.00
5	ახალციხე-ასპინძის მიმართულება	12.00
6	ახალციხე-ადიგენის მიმართულება	12.00

3.5.4 ქუჩების დასუფთავება

მუნიციპალიტეტში ხორციელდება ქუჩების დასუფთავება, რომელსაც ემსახურება ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“. ძირითადად ქუჩების დასუფთავების მომსახურებით მოცულია ქ. ახალციხე და ქ.ვალე. ასევე სუფთავდება სოფელ აწყურის, აგარის, წნისის, მინაძის, ღრელის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია.

ცხრილი 4. ქუჩების დაგვა ახალციხის მუნიციპალიტეტში

ადმინისტრაციული ერთეული		ფარობი (ჰა)	პერიოდულობა
ქალაქი ახალციხე	თამარაშვილის ქუჩა	2.6	ყოველდღიური
	გრიგოლ ხანძთელის ქუჩა	0.2	თვეში 15-ჯერ
	თამარაშვილის ქუჩა (ჰატრუთან)	0.15	თვეში 15-ჯერ
	რაბათის (ციხის ძირის ქ, ყაზბეგის ქ.)	1.3	ყოველდღიური
	რაბათის (გოგებაშვილის ქ. გურამიშვილის ქ.)	0.7	თვეში 15-ჯერ
	კოსტავას ქუჩა	1.5	ყოველდღიური

ახალციხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა

ქალაქი ახალციხე	მიქუტიშვილის ქუჩა	0.15	თვეში 15-ჯერ	
	დიდიმამიშვილის ქუჩა	0.4	ყოველდღიური	
	პაატა ნათენაძის ქუჩა	0.7	ყოველდღიური	
	მანველიშვილის ქუჩა	0.35	თვეში 15-ჯერ	
	ი. პეტრიწის ქუჩა	0.18	თვეში 15-ჯერ	
	ორბელიანის ქუჩა	0.35	თვეში 15-ჯერ	
	თაბუკაშვილის ქუჩა	0.35	თვეში 15-ჯერ	
	იაძის ქუჩა	0.35	ყოველდღიური	
	ივერიელის ქუჩა	0.67	თვეში 15-ჯერ	
	გამსახურდიას ქუჩა	0.47	თვეში 15-ჯერ	
	ფარნავაზ მეფის ქუჩა	0.25	თვეში 15-ჯერ	
	შ. ახალციხელის ქუჩა	0.18	ყოველდღიური	
	კანანელის ქუჩა	0.05	თვეში 15-ჯერ	
	თუმანიანის ქუჩა	0.06	თვეში 15-ჯერ	
	რუსთაველის ქუჩა	2.54	ყოველდღიური	
	ზარზმელის ქუჩა	1	თვეში 15-ჯერ	
	9 პარილის ქუჩა	0.6	ყოველდღიური	
	ასპინძის ცენტრალური ქუჩა	0.6	ყოველდღიური	
	ვარძიის ქუჩა	0.4	თვეში 15-ჯერ	
	კეცხოველის ქუჩა	0.31	ყოველდღიური	
	სულხან-საბას ქუჩა	1.9	ყოველდღიური	
	ნებიერიძის ქუჩა	0.14	თვეში 15-ჯერ	
	ხელოვნური ტბა და მისი მიდებარე	0.7	ყოველდღიური	
	სარაჯიშვილის ქუჩა	0.14	თვეში 15-ჯერ	
	ხაშურის ქუჩა	0.3	თვეში 15-ჯერ	
	მარჯანიშვილის ქუჩა	0.2	თვეში 15-ჯერ	
	სააკაძის ქუჩა	0.1	თვეში 15-ჯერ	
	პეტრიწის ქუჩა	0.2	თვეში 15-ჯერ	
	წმ. დავითისა და კოსტანტინეს ქუჩა	0.19	თვეში 15-ჯერ	
		მებაღიშვილის ქუჩა	0.35	თვეში 15-ჯერ
		გვარამაძის ქუჩა	0.98	თვეში 15-ჯერ
		თბილისის ქუჩა	0.08	თვეში 15-ჯერ
	ვალე	18000	ყოველდღიური	

ცენტრალურ გზაზე განთავსებული კონტეინერების დაცლა ხდება ყოველ მეორე დღეს. ზარის სისტემით ნარჩენების გატანა მოსახლეობიდან ხორციელდება კვირაში ორჯერ.

ცხრილი 5: ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები

სახეობა (ორბორბლიანი, ოთხბორბლიანი, პლასტმასის, ლითონის, და სხვ.)	მოცულობა (ლ)	რაოდენობა	მდებარეობა (ადგილი, რაიონი ან ქუჩა)
ოთხბორბლიანი	1.100	16	თამარაშვილს ქ.
ოთხბორბლიანი	1,1	11	ათონელის ქ,
ოთხბორბლიანი	1,1	3	ნათუნაძის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	15	კოსტავას ქ
ოთხბორბლიანი	1,1	8	დიდიმამიშვილის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	10	აღმაშენებლის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	11	9 აპრილს ქ
ოთხბორბლიანი	1,1	24	რუსთაველის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	7	ასპინძის ქ
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	19	ახალქალაქის გზატკეცილი
ოთხბორბლიანი	1,1	6	ორფოლა
ოთხბორბლიანი	1,1	4	ორფოლა
ოთხბორბლიანი	1,1	5	გურამიშვილის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	7	ზარჩხელს ქ
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	23	ახალქალაქის გზატკეცილი
ოთხბორბლიანი	1,1	13	აღმაშენებლის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	6	ასპინძის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	8	საფარის გზა
ოთხბორბლიანი	1,1	14	თამარაშვილის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	4	იაძის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	6	ივერიელის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	18	კოსტავას ქ
ოთხბორბლიანი	1,1	10	რაბათი
ოთხბორბლიანი	1,1	6	ვაჟა-ფშაველას ქ
ოთხბორბლიანი	1,1	5	გამსახურდიას ქ
ოთხბორბლიანი	1,1	16	სამხედრო ნაწილი
ოთხბორბლიანი	1,1	5	წმინდა დავიდ და
ოთხბორბლიანი	1,1	4	ვარძიის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	5	მესხეთის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	3	მანველიშვილის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	10	გამსახურდიას ქ

ოთხბორბლიანი	1,1	4	ფარნავაზ მეფის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	2	ნათენაძის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	2	ჯაყელის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	11	მთაწმინდელის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	2	გრიგოლ ხანძთელის
ოთხბორბლიანი	1,1	2	ქეთევან წამებულის
ოთხბორბლიანი	1,1	10	ივანე ახალციხელის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	10	მიქუტიშვილის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	3	დიდიმამიშვილის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	1	ილია მართლის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	20	რუსთაველის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	6	გვარამაძის ქ
ოთხბორბლიანი	1,1	6	სოფ. ელიაწმინდა
ოთხბორბლიანი	1,1	3	სოფ. ყურათუბანი
ოთხბორბლიანი	1,1	10	სოფ. ჭვინთა
ოთხბორბლიანი	1,1	26	სოფ. სხვილისი
ოთხბორბლიანი	1,1	8	სოფ. ივლიტა
ოთხბორბლიანი	1,1	13	სოფ. წყრუთი
ოთხბორბლიანი	1,1	8	სოფ. წირა
ოთხბორბლიანი	1,1	4	სოფ. მიქელწმინდა
ოთხბორბლიანი	1,1	13	სოფ. ანი
ოთხბორბლიანი	1,1	11	სოფ. ზიკილია
ოთხბორბლიანი	1,1	17	სოფ საყუნეთი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	12	სოფ. აგარა
ოთხბორბლიანი	1,1	17	სოფ. კლდე
ოთხბორბლიანი	1,1	12	სოფ. ზიკილია
ოთხბორბლიანი	1,1	16	სოფ. თისელი
ოთხბორბლიანი	1,1	16	სოფ. წინუბანი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	8	სოფ. ბოგა
ოთხბორბლიანი	1,1	15	სოფ. სვირი
ოთხბორბლიანი	1,1	5	სოფ. ტატანისი
ოთხბორბლიანი	1,1	3	სოფ. წირა
ოთხბორბლიანი	1,1	6	სოფ. გიორგიწმინდა
ოთხბორბლიანი	1,1	19	სოფ. წნისი
ოთხბორბლიანი	1,1	35	სოფ. აწყური
ოთხბორბლიანი	1,1	10	სოფ. აწყური
ოთხბორბლიანი	1,1	3	სოფ. წრიოხი

ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	8	სოფ. ტყემლანა
ოთხბორბლიანი	1,1	9	სოფ. ფერსა
ოთხბორბლიანი	1,1	10	სოფ. მუგარეთი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	8	სოფ. გიორგიწმინდა
ოთხბორბლიანი	1,1	4	სოფ. ძირი
ოთხბორბლიანი	1,1	10	სოფ. ხეოთი
ოთხბორბლიანი	1,1	18	სოფ. მუსხი
ოთხბორბლიანი	1,1	19	სოფ. ურაველი
ოთხბორბლიანი	1,1	9	სოფ. წყორძა
ოთხბორბლიანი	1,1	8	სოფ. ანდრიაწმინდა
ოთხბორბლიანი	1,1	4	სოფ. ანდა
ოთხბორბლიანი	1,1	4	სოფ. ყულალისი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	19	სოფ. ვალე 2 შახტა
ოთხბორბლიანი	1,1	11	სოფ. დიდი პამაჯი
ოთხბორბლიანი	1,1	20	სოფ. პატარა პამაჯი
ოთხბორბლიანი	1,1	15	სოფ. ღრელი
ოთხბორბლიანი	1,1	14	სოფ. მინამე
ოთხბორბლიანი	1,1	11	სოფ. ჭაჭარაქი
ოთხბორბლიანი	1,1	3	სოფ. ახალშენი

ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	13	სოფ. სამელი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	5	სოფ. ხაკი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	10	სოფ. წინუბანი (სომხური)
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	4	სოფ. აბათხევი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	5	სოფ. ჯულა
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	23	სოფ. წყალთბილა
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	11	სოფ. ნაოხრები
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	8	სოფ. ორალი
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	2	სოფ. გურკელი
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	2	ასპინძის გზა
ოთხბორბლიანი ლითონის	1,1	109	ქ. ვალე
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	10	ქ. ვალე
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	4	საფარა
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	11	საბაჟო (ვალე)
ოთხბორბლიანი პლასტიკის	1,1	21	დამწვარი ურნა

სულ დღეისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1,1 მ3-ის ტევადობის 1114 ცალი კონტეინერი, აგრეთვე 90 მცირე ზომის ურნები რომლებიც სკვერებშია განთავსებული.

3.5.5 ნარჩენების რეციკლირება

ნარჩენების შემცირებისა და აღდგენის მონაცემები მოიცავს ინფორმაციას შემდეგი ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და დამუშავების სქემების შესახებ:

- რეციკლირებადი მასალები (პლასტმასი, ქაღალდი, ლითონი, მინა)
- ბიოლოგიური ნარჩენები
- სხვა სახის ნარჩენები (მაგ., ბატარეები, ნარჩენი ზეთები, ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, საბურავები, აკუმულატორები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები)

3.5.6 ნარჩენების დამუშავება

მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები არ ფუნქციონირებს.

3.6 ნარჩენების განთავსება

3.6.1 არსახიფათო ნარჩენების არსებული ნაგავსაყრელი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხორციელდება ჭაჭარაქის არსებულ ნაგავსაყრელზე, რომელმაც ოპერირება დაიწყო და მოწესრიგდა 2013 წელს. ტერიტორიის ფართი შედაგენს - 5ჰა. ნარჩენებით დაფარული ტერიტორიის ფართია - 2ჰა.

ჭაჭარაქის ნაგავსაყრელის მართვას ახორციელებს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. იგეგმება არსებული ნაგავსაყრელის დახურვა და მანამდე ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის აშენება. დღეისათვის ჩატარებულია წინასწარი ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევა.

3.6.2 სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენები

მუნიციპალიტეტში ოჯახებში, კომერციულ და საჯარო დაწესებულებებში და სხვ. წარმოქმნილი მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენები ცალკე არ გროვდება და არსახიფათო მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად გროვდება და საბოლოოდ ხდება განთავსება ნაგავსაყრელზე.

3.6.3 საკადრო და ორგანიზაციული სტრუქტურა

მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელ სამსახურს წარმოადგენს ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“. რომლის მოვალეობები წარმოდგენილია ცხრილის სახით

ცხრილი 6. ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“-ს კომპანიის უფლება-მოვალეობანი

ფუნქცია	საკუთარი თანამშრომლები	შემსრულებელ		შენიშვნები
		კონტრაქტორი	სხვა, დააზუსტეთ	
მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევა საცხოვრებელი ობიექტებისათვის	X			
მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევა კომერციული/ ორგანიზაციული ობიექტებისათვის	X			
მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევა სამრეწველო ობიექტებისათვის	X			
მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევა საავადმყოფოებისათვის	X			
ნარჩენების შეგროვების მონიტორინგი და	-			
ზედამხედველობა				
ქუჩების დასუფთავება	X			
ბალახის/ხეების ჭრა	X			
მკვდარი ცხოველების გატანა	-			
ბალის ნარჩენების გატანა	X			
მსხვილგაბარიტიანი ნარჩენების, მაგ., ხის და პლასტმასის ავეჯის, საწოლების, და სხვ.	-			
ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, მაგ., ტელევიზორების, კომპიუტერების, მაცივრების, ქურების, სარეცხი მანქანების, ჭურჭლის სარეცხი	-			
სამშენებლო/დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი	-			
მიტოვებული სატრანსპორტო საშუალებების გატანა	-			
სატრანსპორტო შექმნა			სარგებ უფლებადმოც	
სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის	X			
საზოგადოების განათლება	-			
მყარი ნარჩენების მართვის სპეციალური კამპანია/პროექტი	-			
სხვა				

დასუფთავების სამსახურის ორგანოგრამა წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი 7: თანამშრომლების რაოდენობა

კატეგორია	თანამშრომლების რაოდენობა
მენეჯერი	1
ინჟინერი	1
ტექნიკოსი	7
მძღოლი	10
ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისთვის	9
მუშები	100
ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისთვის	21
ქუჩების დაგვისა და დასუფთავებისათვის	64
სხვა სამუშაოებისთვის (მაგ., დაგვისთვის)	15
ადმინისტრაცია	9
სხვა	

3.7 ხარჯები და ხარჯების ამოღება

3.7.1 ხარჯები

ცხრილი 8: მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხარჯები

ხარჯის სახეობა		
	2022 ბიუჯეტით	
პერსონალის ხარჯები	678500	
შეგროვება-ტრანსპორტირება	502155	
ნაგავსაყრელზე განთავსება	72245	
ადმინისტრაციული პერსონალი	57350	
ხელმძღვანელი პერსონალი	46750	
სხვა		
ტექნიკური საშუალებები და საწვავი	309788	
შეგროვება-ტრანსპორტირება	309788	
სხვა		
ტექნიკური მომსახურება და რემონტი	166809	
შეგროვება-ტრანსპორტირება	166809	
სხვა		
ადმინისტრაციული ხარჯები	7506	
კონტრაქტორები (სახელმწიფო ან კერძო)		
სხვა		

3.7.2 შემოსავლები

3.7.2.1 მყარი ნარჩენების მართვის ტარიფი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებასა და გადახდას არეგულირებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისგან განთავისუფლებული არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები. ასევე ოჯახის წევრთა მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 4 სულით.

მოსაკრებლის გადამხდელები არიან ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენებს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ამ ნარჩენების გაუვნებელყოფის და განთავსების, ასევე ქუჩების დაგვა-დასუფთავების ხარჯები იფარება ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად).

საჭიროა სატარიფო სისტემის სრულყოფა და ახალი მოსაკრებლის შემოღება. კერძოდ, ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გაკეთებულია ტარიფების შემდეგი პროგნოზი მომდევნო 10 წლისთვის:

ცხრილი 9. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ტარიფების პროგნოზი.

	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
საყოფაცხოვრებო ლარი/ერთ სულ მოსახლეზე/თვეში	0,50	0,50	0,70	0,70	0,70	0,70	1,00	1,00	1,00	1,0
იურიდიული ლარი/მ ³	2	20	25	25	25	30	30	30	30	30

3.7.3 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს სულ 1 155 097 ლარს, რომელიც წარმოადგენს საკუთარ შემოსავლებს. 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა სულ 1 027 900 ლარს, აღნიშნული თანხა წარმოადგენდა საკუთარ შემოსავლებს.

3.7.4 შემოსავლის წყაროები

შემოსავლის წყარო	2021	2022	
	რეალური	ბიუჯეტით	რეალური
მოსახლეობის მიერ გადახდილი საფასური	1047		
იურიდიული პირების მიერ გადახდილი საფასური	187454		
სახელმწიფო სუბსიდია			
სხვა (სესხი, და სხვ.)			
სულ	188 501	150 000	01.12-ის მდგ. 161 500

3.8 დაგეგმილი ღონისძიებები

მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და განთავსების სისტემის სრულყოფა;

ღონისძიებები:

- ზარის სისტემის ამოღება;
- კონტეინერების და მცირე ზომის ურნების შექმნა და დამონტაჟება;
- კონტეინერების სისუფთავის უზრუნველყოფა;
- ნარჩენების შეგროვების ოპტიმალური მარშრუტებისა და ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკების შემუშავება;

ნარჩენების მართვის მომახურებისათვის მოსაკრებლის ამოქმედება

ღონისძიებები:

- მოსაკრებლის სატარიფო სისტემის განსაზღვრა და მოსახლეობაში მოსაკრებლის ამოღების ეფექტიანი სიტემის დანერგვა;

ნარჩენების შემცირების და სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა

ღონისძიებები:

- კვლევის ჩატარება ნარჩენების რაოდენობასა და ტიპებზე და პოტენციური სეპარირებული ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებით;
- შეხვედრების ორგანიზება ბიზნესისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან- PPP წახალისება;
- კომპოსტირების საპილოტე მოედნის შექმნა;
- მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა და მოტივირება წყაროზე ნარჩენების სეპარაციის ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით.
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება ნარჩენების მართვის საკითხებზე

4. ნარჩენების მართვის არსებული ხარვეზები

- ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემაში არსებული პრობლემები: მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება;
- ამორტიზებული და მოძველებული სპეციალური ტექნიკა;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის არ არსებობა;
- ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებით არ არის მოცული მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია;
- ნარჩენების კომპოსტირების არარსებობა;
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის სანქციების არგამოყენება და სუსტი მონიტორინგი;
- ნარჩენების რეციკლირების არ არსებობა.

4.1 სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო

No.	ხარვეზი/პრობლემა	ეხება (კი/არა)
1	ნარჩენების მართვის სამსახურის ორგანიზაციული ბარიერები	არა
2	საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე	კი
3	ნარჩენების მართვის სფეროში შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობა	კი
4	ნარჩენების მართვაში კერძო სექტორის არმონაწილეობა	კი
5	ნარჩენების მართვის ინდიკატორების არარსებობა	არა
6	ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დადგენილების/რეგლამენტის არსებობა	კი
7	სხვა	

4.2 ფინანსური ჩარჩო

No.	ხარვეზი/პრობლემა	ეხება (კი/არა)
1	ნარჩენების მართვაში ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა	არა
2	„დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის ნაკლებად გამოყენება	კი
3	ზედმეტად დამოკიდებულება დაფინანსებაზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან	არა
4	კაპიტალური ინვესტიციებისთვის სახსრების სიმცირე	კი
5	ეკონომიკური ინსტრუმენტების არარსებობა	არა
6	სხვა	

4.3 ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება

No.	ხარვეზი/პრობლემა	ეხება (კი/არა)
1	ნარჩენების შეგროვების მომსახურების არასაკმარისი დაფარვა	არა
2	ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა	კი
3	ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობა მოძველებულია	კი
4	ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობის ხარისხი დაბალია	კი
5	ნარჩენების შესაგროვებელი ტექნიკის სადგომი და სარემონტო სივრცის არარსებობა	არა
6	ნარჩენების სხვადასხვა ნაკადების შეგროვების სქემების არარსებობა	კი
7	ნარჩენების შეგროვებაში ჩართული პერსონალის დამცავი აღჭურვილობის არარსებობა	არა
8	რეგულარული პრევენციული ტექნიკური მომსახურებისა და ტექნიკური მომსახურების დაგეგმვის არარსებობა	არა
9	სატრანსპორტო საშუალებების/ინფრასტრუქტურის ნაკლებობა	კი
10	მარშრუტებისა და შეგროვების ეფექტიანი დაგეგმვის არარსებობა	არა
11	შეგროვება ძირითადად ხელით ხდება	არა
12	სხვა	

4.4 ნარჩენების დამუშავება

No.	ხარვეზი/პრობლემა	ეხება (კი/არა)
1	ნარჩენების დამუშავების ობიექტების არარსებობა	კი
2	რეციკლირების პრაქტიკის არარსებობა	კი
3	ორგანული ნარჩენების ფრაქციის ბიოლოგიურად დამუშავების შესაძლებლობის არარსებობა	კი
4	სხვა	

4.5 ნარჩენების განთავსება

No.	ხარვეზი/პრობლემა	ეხება (კი/არა)
1	კონტროლირებადი სანიტარული ნაგავსაყრელის არარსებობა	არა
2	ნაგავსაყრელის საიზოლაციო ფენისა და გამონაჟონის შეგროვების სისტემის არარსებობა	არა
3	ნაგავსაყრელის აირების შეგროვების სისტემის არარსებობა	კი
4	ნაგავსაყრელების ფართობი არაეფექტიანად არის ათვისებული	არა
5	ნაგავსაყრელების გარშემო არ არსებობს დამცავი საშუალებები	არა
6	არ წარმოებს ნაგავსაყრელზე შემოსული ნარჩენების აღრიცხვა	არა
7	სამუშაოების კონტროლისა და კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა	არა
8	ნარჩენების დაწვის პრაქტიკა	არა
9	სხვა	

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა აწარმოოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა და შექმნას შესაბამისი ბაზა.

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის მიზნით, პირველ ეტაპზე შესაძლებელია მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს ქაღალდის (მაკულატურის) და პლასტიკის შეგროვება-გადამუშავებაზე.

ოპტიმალური ეფექტიანობის მისაღწევად, მუნიციპალიტეტმა შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოახდინოს მომსახურე პერსონალის დამატება და კონტინერების შესყიდვა.

მნიშვნელოვანია, სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს გაწეული ხარჯების სრულად ამოღებას. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მოსაკრებლის ამოღება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, მიღებული შემოსულობები მოხმარდება გაწეული ხარჯების დაფარვას.

5. პროგნოზი

ცხრილი 9. რაოდენობის პროგნოზირება

ნარჩენების შეფენილობა (ტონა) ბიოლოგიური ნარჩენი	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029		
	9527	9527	9535	9536	9540	9542	9543	9544	9546	9547
ქაღალდი	2645	2645	2650	2651	2655	2657	2660	2661	2663	2664
პლასტმასი	2645	2645	2650	2651	2655	2657	2660	2661	2663	2664
შავი ლითონები	352	352	355	356	359	361	364	365	367	369
ფერადი ლითონები	352	352	355	356	359	361	364	365	367	369
მინა	705	705	707	708	711	713	717	718	720	722
ხე	176	176	178	179	181	183	187	188	190	192
ქსოვილი და ტყავი	176	176	178	179	181	183	187	188	190	192
ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები	529	529	529	530	531	533	537	538	540	541
სამშენებლო და დემონტაჟის სამუშაოების	176	176	181	182	183	185	190	192	195	197
ნარჩენები										
სხვა	352	352	357	357	359	360	362	365	366	371
სულ	17635	17635	17670	17680	17695	17705	17720	17730	17735	17740
აქედან:										
- ქალაქში წარმოქმნილი -	14108	14108	12,384	12,415	12,446	12,477	12,508	12,540	12,571	12,602
- სოფელში წარმოქმნილი - სულ	3527	3527	3,114	3,108	3,101	3,095	3,089	3,083	3,077	3,070
- ნარჩენი შესაფუთი	2,341	2,347	2,353	2,359	2,365	2,371	2,377	2,383	2,388	2,394
ქალაქი										
- ნარჩენი შესაფუთი მასალა, სოფელი	594	593	592	590	589	588	587	586	585	583
- ნარჩენი შესაფუთი მასალა, სულ	2,935	2,940	2,945	2,949	2,954	2,959	2,963	2,968	2,973	2,978
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, ქალაქი	7,393	7,412	7,430	7,449	7,468	7,486	7,505	7,524	7,543	7,561
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, სოფელი	1,876	1,872	1,868	1,865	1,861	1,857	1,853	1,850	1,846	1,842
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, სულ	9527	9527	9,299	9,314	9,328	9,343	9,358	9,373	9,389	9,404
ნარჩენები, სულ										
მოსახლეობა (ადამიანების როდ)	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029		
ქალაქის	22,101	22,369	22,425	22,481	22,537	22,593	22,650	22,707	22,763	22,820
სოფლის	17,000	17,096	17,062	17,028	16,994	16,960	16,926	16,892	16,858	16,824
სულ	39,101	39,465	39,487	39,509	39,531	39,553	39,576	39,598	39,621	39,645

6. ნარჩენების მართვის მიზნები

წინამდებარე გეგმა წარმოადგენს 2018-2022 წწ გეგმის გაგრძელებას მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში ახალი გამოწვევების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის კოდექსითა და ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანა, რომლის შესაბამისად: ყველა მუნიციპალიტეტმა ყოველ ხუთ წელში უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა.

6.1 შეგროვების და რეციკლირების მიზანი

ცხრილში არსებული მდგომარეობისა და ეროვნული ნარჩენების მართვის მიზნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების მიზნები 2025 და 2030 წლებისთვის, თუმცა არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შესაძლებელია საჭირო გახდეს კორექტირება ახალი ნარჩენების ეროვნული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ნარჩენების შეგროვების მიზნები 2025 და 2030 წლებისთვის.

მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვება	2025	2030	2023
პროცენტი (%)	100%	100%	95.47%
რაოდენობა (ტონა)	15,572	15,673	1,000

ქაღალდის რეციკლირება	2025	2030	2023
პროცენტი (%)	50%	80%	43.15%
რაოდენობა (ტონა)	1,168	1,881	1,000

მინის რეციკლირება	2025	2030	2023
პროცენტი (%)	50%	80%	16.83%
რაოდენობა (ტონა)	311	502	1,000

ლითონის რეციკლირება	2025	2030	2023
პროცენტი (%)	70%	90%	16.83%
რაოდენობა (ტონა)	498	564	1,000

პლასტმასის რეციკლირება	2025	2030	2023
პროცენტი (%)	50%	80%	43.15%
რაოდენობა (ტონა)	1,168	1,881	1,000

შესაფუთი მასალის რეციკლირება	2025	2030	2023
პროცენტი (%)	75%	90%	34.07%
რაოდენობა (ტონა)	2,219	2,680	1,000

6.2 მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მიზნები

ნარჩენების მართვის კოდექსი რიგ ახალ ვალდებულებებს აკისრებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნაა „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ (მგვ) პრინციპის დანერგვა საქართველოში. კერძოდ, გულისხმობს წარმოებული პროდუქციისგან მიღებული ნარჩენების შეგროვების და დამუშავების ვალდებულებას მწარმოებელს მიერ.

„მგვ“, ძირითადად, შემდეგი სახის ნარჩენებზეა ორიენტირებული: ბატარეები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, ზეთები, შესაფუთი მასალა და ელექტრონული საქონლის ნარჩენები.

აღნიშნული პრინციპი სრულიად ახალია საქართველოსთვის. მისი დანერგვა მოითხოვს არა მარტო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, არამედ ცნობიერების ამაღლებას სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში.

- მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვისათვის;
- თანამშრომლობა მწარმოებლებთან ან მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებთან;
- მწარმოებლების ინფორმირება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დეტალებისა და ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსების აკრძალვის შესახებ;

	2025 წ	2030 წ
ბატარეები	50%	80%
ზეთები	75%	90%
შესაფუთი მასალები	75%	90%
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა	50%	80%
საბურავები	70%	90%
აკუმულატორები	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	50%	80%

7. სამოქმედო გეგმა

ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ევროპაში ნარჩენების მართვის სისტემების განხილვის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

შეგროვება და ტრანსპორტირება

ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია მოხდეს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ურნებით, რათა შეგროვების კონტეინერული სისტემა დაინერგოს მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ყველაზე მეტად შეესაბამება მუნიციპალიტეტს მოსახლების რაოდენობის, სიმჭიდროვის და ადგილის რელიეფის ფაქტორების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ასევე, არსებული ავტოპარკის განახლება.

ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის აღრიცხვის წარმოების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვა.

მომსახურების არეალში კონტეინერების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმომქმნელებისგან, რომელთაც ისინი უნდა მოემსახურონ, არ უნდა აღემატებოდეს 150– 200 მ-ს.

ოპტიმალური ეფექტიანობის მისაღწევად, მუნიციპალიტეტმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოახდინოს იმ ტექნიკის, მათ შორის, შემგროვებელი მანქანებისა და კონტეინერების, სტანდარტიზაცია, რომელსაც იყენებს მომსახურებისას. მუნიციპალური სტანდარტიზაციის ნორმების შემუშავება ცენტრალური მთავრობის შესაბამის სტანდარტიზაციის ნორმებზე დაყრდობით უნდა განხორციელდეს.

ახალციხის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა მოხდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- შეგროვების მიზნით მანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობის ზრდა დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში;
- ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
- სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამართლიანი მოსაკრებლის გამოთვლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით და ასევე, მოსაკრებლის ამოღების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ნარჩენების განთავსების არალეგალურ ადგილებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს ასეთი ადგილების ზუსტი აღივსება. ამ ადგილების ინვენტარიზაციის დროს უნდა განხორციელდეს ინფორმაციის მოპოვება სულ მცირე ადგილებზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის და ტიპის შესახებ. ამის შემდეგ უნდა მოხდეს დროში გაწერილი კონკრეტული გეგმის შემუშავება როდის მოხდება ამ ადგილების დახურვა, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით.

აღდგენა

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქალაქი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტის სპეციფიკადან გამომდინარე ეფექტიანი იქნება ასეთი შეგროვების პუნქტების მოწყობა მაღაზიებთან და საერთო სარგებლობის ადგილებთან.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა მოახდინოს იმ კომპანიებთან მოლაპარაკებები, რომელიც დახარისხებულად შეგროვებული ნარჩენის გატანით დაინტერესდებიან. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს საცავი შეგროვებული ნარჩენის დასაწყობების მიზნით, სადაც კომპანია მოახდენს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მოწყობილობების დამონტაჟებას. წინასწარ უნდა მოხდეს მოლაპარაკება ფასზე და ნარჩენის შესყიდვის პროცედურებზე (სავარაუდოდ ნარჩენების მიყიდვა უნდა მოხდეს პირდაპირი წესით).

აუცილებელია სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის ტრანსპორტირება ხდებოდეს მუნიციპალიტეტის სპეციალურად ბრენდირებული ავტოტრანსპორტით, რომ მოსახლეობა ხედავდეს, რომ ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება ცალკე სპეციალურად გამოყოფილ საცავში.

7.1 ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა

ახალციხის მუნიციპალიტეტი კომპეტენციის ფარგლებში მზად არის ითანამშრომლოს მეზობელ მუნიციპალიტეტებთან მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების კუთხით.

ახალციხის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვის იმ ვალდებულებებს, რომელიც განსაზღვრულია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიერ.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ეფექტიანი ადგილობრივი პროგრამების, პროცესებისა და ობიექტების შექმნის თვალსაზრისით;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის, როგორც მოსახლეობის, ისე კომერციული ობიექტებისა და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების მინიმიზაცია;
- გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არსებული სისტემასთან;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რათა მოცული იქნას მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
- მუნიციპალური ნარჩენები 90% 2026 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2026 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;

- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2024 წლისთვის;
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - ქაღალდი 50% 2025 წლისთვის;
 - პლასტიკი 50% 2025 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2025 წლისთვის;
- ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევებში ეფექტიანი საქმისწარმოება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური ამუშავება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;

ცნობიერების ამაღლების კამპანია

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოების ჩართულობა სისტემის მუშაობაში. მნიშვნელოვანი საკითხია დაინტერესებული მხარეების (საზოგადოების) მონაწილეობა როგორც ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დაგეგმვის პროცესში, ისე მუშაობის პროცესში.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიის წარმართვა, რომელიც გულისხმობს როგორც საჯარო შეხვედრების, ერთობლივი აქციების და ლექცია-სემინარების ჩატარებას, ასევე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას.
- სტიქიური ნაგავსაყრელების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით საინფორმაციო კამპანიის მუდმივ რეჟიმში წარმართვა, გამოყენებული იქნება ადგილობრივი მედია საშუალებები;
- საზოგადოების ჩართულობით ყოველთვიურად დასუფთავების აქციების ორგანიზება, ყოველწლიურად წინასწარ შემუშავებული გეგმით ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.
- ნარჩენების წყაროსთან სეპარირების უზრუნველყოფის მიზნით, საწყის ეტაპზე საზოგადოების მომზადება - ინფორმირება;

8. მონიტორინგის გეგმა

დასუფთავების სერვისის ხარისხის კონტროლის მიზნით მიზანშეწონილია: დასუფთავების სამსახურში მონიტორინგის ჯგუფის შექმნა-მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების სტიქიურად დაყრაზე მონიტორინგის განხორციელებისათვის.

მუნიციპალიტეტში „ცხელი ხაზის“ ამოქმედება ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში შესაბამისი ზომების (ინსპექტირება, კანონდამრღვევის გამოვლენა-დაჯარიმება და სხვა სანქციების გამოყენება) მიღებისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანი კამპანიის ორგანიზებისათვის-მოსახლეობის ნარჩენების მართვის საკითხებზე მუდმივი ინფორმირებულობის მიზნით-პასუხისმგებელი პირის გამოყოფა;

მონაცემთა ელექტონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

დაფინანსება

ნარჩენების მართვის ინდუსტრიაში არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარჩენების შეგროვება-გატანის პროცესი სისტემის ყველაზე ძვირადღირებული ნაწილია. შესაბამისად, შეგროვება-გატანის სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების მართვის საერთო ხარჯების ოპტიმიზაციაზე.

ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია სისტემაში არსებული პრობლემური საკითხების პირველ რიგში გადაწყვეტა:

- ნარჩენების შეგროვების სერვისის გაფართოებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს წარმოქმნილი ნარჩენების მაქსიმალური (100%) შეგროვება, ასევე გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია 1,1 მ³ მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობის გაზრდა 300 ერთეულით.
- ნარჩენების შეგროვებისათვის ნაგავშიდების რელიეფისა და საავტომობილო გზის მდგომარეობის გათვალისწინებით 3 (სამი) ერთეული მაღალი გამავლობის საპრესი მოწყობილობის მქონე 12-16მ³ მოცულობის ნაგავშიდი. ქუჩების მოსარეცხი სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალება.

სამოქმედო გეგმა 2023-2027 წელი

მიზანი 1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ეფექტიანი ლოჯისტიკის უზრუნველყოფა					
ამოცანა 1.1 ნარჩენების შეგროვების და განთავსების უზრუნველყოფა					
	ლონისძიებები	განხორციელებს პერიოდი	პასუხისმგებელი ორგანო	ხარჯები (ლარი)	დაფინანსების წყარო
1.1.1	კონტეინერების და მცირე ზომის ურნების შეძენა და დამონტაჟება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ტურისტული თავშეყრის ადგილებში (ურავლის ხეობა, აგარის მონასტერი, რაბათი, აწყურის ეკლესია, საფარის მონასტერი)	2023-2027	მუნიციპალიტეტი	100000	ბიუჯეტი
1.1.2	ნარჩენების შეგროვების ოპტიმალური მარშრუტებისა და ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკების შემუშავება	2023-2027	ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“		
ამოცანა 1.2 ეფექტიანი და ხარისხიანი დასუფთავების სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა					
1.2.1	ქუჩის დაგვის გრაფიკის შემუშავება და ყველა ქუჩის დაგვა, დასუფთავების უზრუნველყოფა		ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“		
1.2.2	დამგველი მანქანის შეძენა	2023-2025	მუნიციპალიტეტი	300000	ბიუჯეტი/დონორის დახმარება
1.2.3	სარწყავი მანქანის შეძენა	2023-2025	მუნიციპალიტეტი	300000	ბიუჯეტი/დონორის დახმარება
1.2.4	სპეც ტანსაცმლის შეძენა	2023-2027	ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“	80000	ბიუჯეტი
ამოცანა 1.3 ნარჩენების მართვის მოსამხურებისათვის მოსაკრებლის ამოქმედება					
1.3.1	მოსაკრებლის სატარიფო სისტემის შეცვლა	2024	მუნიციპალიტეტი		
1.3.2	მოსახლეობაში მოსაკრებლის ამოდების ეფექტური ორგანიზება	2024-2027	მუნიციპალიტეტი		
მიზანი 2. ნარჩენების შემცირების და სეპარირების ხელშეწყობა					

ამოცანა 2.1 ნარჩენების რეციკლირების პროპაგანდის ხელშეწყობა					
2.1.1	შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან	2023-2027	მუნიციპალიტეტი		
2.1.2	ინფორმაციის შეგროვება ნარჩენების რაოდენობასა და ტიპებზე	2023-2027	მუნიციპალიტეტი		
2.1.3	კვლევის ჩატარება პოტენციური სეპარირებული ნარჩენების გადამუშავებასთან მიმართებაში	2025	მუნიციპალიტეტი		
ამოცანა 2.2 ნარჩენების შემცირების ხელშეწყობა					
2.2.1	გამოფენების და შეხვედრების ჩატარება	2024-2027	მუნიციპალიტეტი	5000	ბიუჯეტი/ დონორის დახმარება
2.2.2	სოციალური რეკლამების მომზადება	2024-2027	მუნიციპალიტეტი	5000	დონორის დახმარება
ამოცანა 2.3 ნარჩენების შემგროვებელი ბუნკერების დადგმა ორგანული ნარჩენების , პლასტმასის , მაკულატურისა და მინის სეპარირებისათვის ქ ვალეში, ქ ახალციხის სკვერებში , რიგ საბავშო ბაღებში					
2.3.1	შესაბამისი კონტეინერების შეძენა	2024-2027	მუნიციპალიტეტი	100000	ბიუჯეტი/ დონორის დახმარება
2.3.2	სასაწყობე ადგილების გამოყოფა	2024-2025	მუნიციპალიტეტი	20000	ბიუჯეტი/ დონორის დახმარება
ამოცანა 2.4 ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შემცირების ხელშეწყობა					
2.4.1	კომპოსტირების საპილოტე მოედნის შექმნა	2026-2027	მუნიციპალიტეტი	10000	ბიუჯეტი/ დონორის დახმარება
ძიზანი 3 . მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის შესახებ.					
ამოცანა 3.1 ნარჩენების მართვის საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება					
3.1.1	სკოლის მოსწავლეებისათვის საზღვრულ ეკო-ბანაკების ორგანიზება	2023-2027	მუნიციპალიტეტი	10000	ბიუჯეტი/ დონორის დახმარება

3.1.2	ბაღების აღსაზრდელებისათვის სახალისო მასალების შემუშავება და დაბეჭდვა	2023-2027	მუნიციპალიტეტი	20000	ბიუჯეტი/დონორის დახმარება
ამოცანა 3.2 საინფორმაციო კამპანია ნარჩენების მართვის შესახებ					
3.2.1	ტელეგადაცემების ორგანიზება	2023-2027	მუნიციპალიტეტი	5000	ბიუჯეტი/დონორის დახმარება
3.2.2	საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	2023-2027	მუნიციპალიტეტი	10000	ბიუჯეტი/დონორის დახმარება